

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 4 ივლისის ბრძანება №01-321/ო - ვებგვერდი, 07.07.2020წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 27 ივლისის ბრძანება №01-367/ო - ვებგვერდი, 29.07.2020წ.

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს ბრძანება №01-431/ო - ვებგვერდი, 03.09.2020წ.



საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი
ერთად შევქმნათ უსაფრთხო სამუშაო გარემო!

ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეულ ინფექციასთან (COVID-19) დაკავშირებული ზოგადი რეკომენდაციები კინოწარმოებისა და კინოჩვენებისთვის

კინოგადაღების (კინოწარმოების) პროცესში შესასრულებელი ძირითადი რეკომენდაციები:

- უზრუნველყავით რისკების შეფასება და ინფექციის გავრცელების პრევენციასთან დაკავშირებით შესაბამისი ზომების მიღების ღონისძიებების დაგეგმვა იმგვარად, რომ გამოირიცხოს ან მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი ინფექციის გავრცელების რისკი;
- ვირუსის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების დაგეგმვის დროს იხელმძღვანელოთ ღონისძიებათა იერარქიის შესაბამისად (დანართი N1);
- შეიმუშავეთ ახალი კორონავირუსული ინფექციის გავრცელების პრევენციის გეგმა, ასევე შესაძლო ფაქტის გამოვლენის შემთხვევაში სამოქმედო გეგმა;
- მაქსიმალურად შეზღუდეთ კინოგადაღებაში ჩართული პირების წინასწარ განსაზღვრული აუცილებელი ლოკაციების გარდა (გადასაღები მოედანი, სასტუმრო, სხვა ტიპის საცხოვრებელი, სასადილო/კვების ბლოკი) ნებისმიერ სხვა ლოკაციაზე გადაადგილება;
- კინოგადაღების პერიოდში, გადასაღებ მოედანსა და ყველა შესაბამის ლოკაციაზე დააწესეთ სპეციალურად დაცული ზონები, რათა გამოირიცხოს გარეშე პირის მოხვედრა გადასაღებ მოედანზე (გარდა სასურსათო მომარაგების, დასუფთავების უზრუნველყოფაში ჩართული პირების და სხვა მკაცრად განსაზღვრული პირებისა);
- გამოყავით მინიმუმ 1 პასუხისმგებელი პირი გადასაღებ მოედანზე (თითოეულ ლოკაციაზე) რომელიც პასუხისმგებელი იქნება თქვენ მიერ განსაზღვრული პრევენციული ღონისძიებებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ახალი კორონავირუსული (SARS-CoV-2) ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შეიმუშავებული სათანადო რეკომენდაციების შესრულებაზე;
- კინოგადაღებაში ჩართული უცხო ქვეყნის მოქალაქეები პოლიმერაზული ჯაჭვური რეაქციით (პჯრ) ტესტირებას გაივლიან, როგორც საქართველოში საქმიანი ვიზიტით ჩამომსვლელი პირები;
- მსახიობებს მიაწოდეთ სრულყოფილი ინფორმაცია გადასაღებ მოედანზე არსებული საკარანტინო წესების არსებობის შესახებ (შესაძლებელია აღნიშნულის კონტრაქტში ასახვა);
- უზრუნველყავით გადასაღებ მოედანზე ერთიანი შესასვლელისა და გასასვლელის ფუნქციონირება;
- ერთიან შესასვლელთან განახორციელოთ ყოველდღიური თერმოსკრინინგი, რათა გააკონტროლოთ როგორც თანამშრომელთა, ასევე მესამე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით;
- ტერმოსკრინინგის დროს, ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ მიმართეთ 112-ის ცხელ ხაზს და გააკეთეთ სათანადო შეტყობინება;
- თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ინფორმაცია COVID-19-ის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ;

- კინოწარმოების პროცესში შექმენით სამუშაო ჯგუფები, მათი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით და შესაძლებლობის ფარგლებში, შეამცირეთ სამუშაო ჯგუფის რაოდენობის ერთ სივრცეში კონცენტრაცია;
- შეამცირეთ ჯგუფის წევრთა ფიზიკური კონტაქტი და სამუშაო დრო (წარმოების ეტაპების გათვალისწინებით);
- განსაზღვრეთ ჯგუფის წევრთა შიდა კონტაქტების წრე, ასევე ადმინისტრაციული ღონისძიებები დაგეგმეთ იმგვარად, რომ შეამციროთ თითოეული ჯგუფის წევრის კონტაქტების ოდენობა;
- უზრუნველყავით მსახიობების და მასიურ სცენებში მონაწილე პირების ერთმანეთისაგან დისტანცირება, გარდა გადაღებისათვის აუცილებელი შემთხვევებისა;
- უზრუნველყავით გადასაღებ მოედანზე, ასევე ყველა იმ სივრცეში, რომელიც გამოიყენება კინოწარმოების მიზნებიდან გამომდინარე სათანადო სივრცის შენარჩუნება (რეკომენდებულია ყოველ 5მ² ფართობზე 1 პირის დაშვება);
- გადასაღები მოედნის, ასევე მოედნის ტერიტორიაზე არსებულ ან კინოწარმოებისათვის გამოსაყენებელი ყველა შენობის შესასვლელში, განათავსეთ დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- გადაღების პროცესში ჩართული, ასევე გადასაღებ მოედანზე მყოფი სხვა/მესამე პირები უზრუნველყავით სამუშაოს სპეციფიკის შესაბამისი ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით:
 - პირბადე;
 - საჭიროების შემთხვევაში ხელთათმანითა და სახის დამცავი ფარით.
- გადასაღებ მოედანზე მყოფი თითოეული პირისთვის გაითვალისწინეთ მინიმუმ 4 პირბადე 12-საათიანი სამუშაო დღისთვის (გადასაღები). ეს წესი ვრცელდება ყველა იმ ადამიანზე, ვინც ესწრება გადაღებას, მათ შორის გარე კონრაქტორებსაც.
- სადაც ეს შესაძლებელია, არ დაუშვათ სამუშაო/სამოქმედო სივრცეში გადამღები ჯგუფის ტექნიკური პერსონალი/მესამე პირები ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გარეშე;
- მაქსიმალურად შეზღუდეთ გარეშე პირთა/ვიზიტორთა დაშვება გადასაღებ მოედანზე. თუ გადასაღებ მოედანზე გარეშე პირების დასწრება გარდაუვალი და აუცილებელია (მაგ: არასრულწლოვანი მსახიობების მშობლები), მათ უნდა დაიცვან ყველა წესი, რაც მოქმედებს გადასაღებ მოედანზე, ჯგუფის წევრების ჯანმრთელობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით;
- უზრუნველყავით გამოყენებული ინვენტარის, რეკვიზიტების, ტექნიკის საშუალებების, და სხვა გამოყენებული აღჭურვილობის დადგენილი წესით წმენდა/დეზინფექციის კონტროლი;
- უზრუნველყავით კოსტიუმების წმენდა/დეზინფექცია და დაუთოება შესაბამისი წესით. სცენარის სპეციფიკიდან გამომდინარე, თუ ვერ ხერხდება კოსტიუმების რეცხვა (მაგ: დაფაქტურებული კოსტიუმები), მაშინ გამოყენების შემდეგ უნდა მოხდეს კოსტიუმის შეფუთვა პლასტიკურ პარკში, რომელიც შეხებაში არ იქნება სხვა პირებთან, გარდა კონკრეტული მსახიობისა, ვისთვისაც არის განკუთვნილი;
- გრიმიორის და თმის სტილისტის მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, უზრუნველყავით მათი აღჭურვა ნიღბით, ხელთათმანებითა და სახის დამცავი ფარით. იმ შემთხვევაში, თუ შეუძლებელია ხელთათმანებით მუშაობა (მაგ: თმაზე მუშაობის პროცესში), მაქსიმალურად ხშირად დაიმუშავეთ ხელი არანაკლებ 70% ალკოჰოლის შემცველი ხსნარით;
- კინოგადაღების სამუშაო/სამოქმედო სივრცეში მყოფი ყველა პირი უზრუნველყავით ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (შეუძლებლობის შემთხვევაში სავალდებულოა ხელის დამუშავება არანაკლებ 70% ალკოჰოლის შემცველი ხსნარით);
- ყველა ის სივრცე, სადაც შესაძლებელია მოხდეს კინოგადაღების პროცესში მონაწილე პირი, უზრუნველყავით არანაკლებ 70%-იანი სპირტის შემცველი ხელის სადეზინფექციო საშუალებით;
- ის ჯგუფის წევრები, რომელთათვისაც შეუძლებელია სადეზინფექციო სტენდებთან მისვლა, უზრუნველყავით ჯიბის ერთჯერადი სადეზინფექციო ხელსახოცებით ან ინდივიდუალური სანიტაიზერებით;
- მოახდინეთ გადასაღებ მოედანზე, დახურულ პავილიონებში შემოსული ყველა სატრანსპორტო საშუალების სრული დეზინფექცია. ასევე ყოველდღიურად მოახდინეთ იმ სატრანსპორტო

საშუალებების შიდა სივრცეების (სალონი) დეზინფექცია, რომელსაც გადაჰყავს გადამღები ჯგუფის წევრები;

- კინოგადაღების პროცესში დააწესეთ სანიტარული შესვენებები;
- მიაწოდეთ ინფორმაცია კინოგადაღების პროცესში ჩართულ ყველა პირს (ვისთვისაც სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებელია) ინდივიდუალური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაზე;
- სამოქმედო/სამუშაო სივრცეში პერიოდულად დაასუფთავეთ ხშირად შეხებადი ზედაპირები (მათ შორის ღილაკები, სახელურები, მოაჯირები და ა.შ.) შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;
- სამუშაო/სამოქმედო სივრცეები უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერით (ფეხის პედლის შესაძლებლობით), რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პარკი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
- უზრუნველყავით საერთო გამოყენების დახურული სივრცეების ყოველდღიური დალაგება და დეზინფექცია სველი წესით, „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანების N6 დანართის შესაბამისად.

გადასაღები მოედნისათვის კინოგადაღების დროს გასატარებელი ღონისძიებები:

- იმ შემთხვევაში, თუ კინოგადაღების პროცესში თითოეული ჯგუფის შემადგენლობაში არის 10 (ათი) ადამიანზე მეტი, რეკომენდირებულია სივრცის განაწილება იმგვარად, რომ ყოველ 5 მ² ფართობზე იყოს 1 ადამიანი, უსაფრთხო დისტანციის დაცვის გათვალისწინებით;
- მაქსიმალურად შეამცირეთ კინოგადაღების დროს გამოყენებული რეკვიზიტების რაოდენობა;
- უზრუნველყავით საგრძობად ნაკრების ერთი კომპლექტიდან ერთი მსახიობის მიერ სარგებლობის საშუალება ან სამუშაო ინსტრუმენტების ხშირი დეზინფექცია;
- აკრძალეთ ერთი კოსტიუმის და სხვა სპეციალური ტანისამოსის გამოყენება ერთზე მეტი მსახიობის მიერ, სხვა შემთხვევაში მოახდინეთ მისი დეზინფექცია;
- კინოგადაღების დასრულების შემდეგ, უსაფრთხოების მიზნით, განსაზღვრეთ გამოყენებული რეკვიზიტის, ინსტრუმენტის, ხმის აპარატურის/პულტის და სხვა ტექნიკური თუ შემოქმედებითი საქმიანობისთვის აუცილებელი საშუალებების დეზინფიცირება დადგენილი წესით.

ზოგადი რეკომენდაციები კინოჩვენებისთვის:

- შეიმუშავეთ საგანგებო სიტუაციაში სამოქმედო გეგმა;
- უზრუნველყავით დახურულ სივრცეებში ერთიანი შესასვლელისა და გასასვლელის ფუნქციონირება;
- ერთიან შესასვლელთან განახორციელეთ თერმოსკრინინგი, ვიდეოსკრინინგის ან დისტანციური მზომი ხელსაწყო გამოყენებით, რათა გააკონტროლოთ როგორც თანამშრომელთა, ასევე ვიზიტორთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ტემპერატურის გაზომვით. ცხელების დაფიქსირების შემთხვევაში დაუყოვნებლივ მიმართეთ 112-ის ცხელ ხაზს;
- თვალსაჩინო ადგილას განათავსეთ ინფორმაცია COVID-19-ის გავრცელების პრევენციული ღონისძიებების შესახებ;
- შენობის შესასვლელში განათავსეთ დეზობარიერი, შესაბამისი სავალდებულო ნიშნის მითითებით;
- უზრუნველყავით დასაქმებულები და ვიზიტორები ხელის დაბანის გამართული საშუალებებით (ხელსაბანი ნიჟარა, თხევადი საპონი და ხელის გასამშრალელებელი ერთჯერადი ხელსახოცები);
- უზრუნველყავით ხელის სადეზინფექციო 70% ალკოჰოლის შემცველი ხსნარის განთავსება შენობის შესასვლელში და სხვადასხვა ნაწილში, მათ შორის საერთო საპირფარეშოების შესასვლელში და სხვა საერთო გამოყენების ადგილებში, რომლითაც სარგებლობს პერსონალი და ვიზიტორები;

- მიაწოდეთ ინფორმაცია პერსონალს ინდივიდუალური დაცვისა და ჰიგიენური საშუალებების სწორად გამოყენებასა და შემდგომში მათ შენახვა/მოცილებაზე;
- პერიოდულად დაასუფთავეთ ხშირად შეხებადი ზედაპირები (მათ შორის ღილაკები, კარების სახელურები, ჩამრთველ/გამომრთველები, მოაჯირები და ა.შ.) შესაბამისი კონცენტრაციის სადეზინფექციო ხსნარით;
- ოფისები და საერთო სარგებლობის ფართები უზრუნველყავით გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცებისა თუ სხვა ჰიგიენური ნარჩენებისთვის დახურული კონტეინერით (ფეხის პედლის შესადლებლობით), რომელშიც ჩაფენილი იქნება ერთჯერადი პლასტიკური პარკი. ნარჩენების პარკის ამოღება და განკარგვა მოახდინეთ ერთჯერადი ხელთათმანების გამოყენებით. უზრუნველყავით ასეთი ნარჩენების დროული გატანა შესაბამისი პირის/სამსახურის მიერ;
- დააწესეთ კონტროლი პრევენციული ღონისძიებებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ახალი კორონავირუსული (SARS-CoV-2) ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით შემუშავებული სათანადო რეკომენდაციების შესრულებაზე;
- ფილმის ბილეთების გაყიდვისთვის გამოიყენეთ ელექტრონული სისტემა. ბილეთების სალაროდან გაყიდვის შემთხვევაში, ნაღდი ანგარიშსწორების თავიდან აცილების მიზნით, შესთავაზეთ პლასტიკური ბარათით გადახდის სერვისი;
- მოლარე, რომელიც ახდენს ბილეთების გაყიდვას, აღჭურვეთ ხელთათმანებით, ხოლო სალაროსთან განათავსეთ ხელის სადეზინფექციო არანაკლებ 70%-იანი ალკოჰოლის შემცველი სადეზინფექციო საშუალებები;
- კინოჩვენების განმახორციელებელმა ორგანიზაციამ/პირმა მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოს შენობაში მხოლოდ იმ თანამშრომლების დაშვება, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ კინოჩვენების პროცესში;
- მაყურებელთათვის განკუთვნილი ადგილები გადაანაწილეთ იმგვარად, რომ მოხდეს უსაფრთხო დისტანციის (გარდა 12 წლამდე ბავშვებისა) დაცვა. ამ მიზნით კინოჩვენების დარბაზში, მაყურებელი განათავსეთ 1 სავარძლის გამოტოვებით;
- მაყურებელთა ნაკადის მართვა განახორციელეთ იმგვარად, რომ თავიდან აიცილოთ ერთ ადგილზე ადამიანთა დიდი რაოდენობის კონცენტრაცია;
- შესასვლელებთან, ახლო კონტაქტის თავიდან აცილების მიზნით, მონიშნეთ უსაფრთხო დისტანცია;
- უზრუნველყავით მაყურებელთა დაშვება დახურულ სივრცეში, ისევე როგორც კინოჩვენების დარბაზში, მხოლოდ ნიღბით.

მოთხოვნები კონდიციონერებისა და ვენტილაციის სისტემების მიმართ დახურულ სივრცეებში:

- იმ შემთხვევაში, როდესაც კინოგადაღების/კინოჩვენების პროცესში ვერ ხერხდება დახურული სივრცის ბუნებრივი ვენტილაცია, უზრუნველყავით ხელოვნური ვენტილაციის გამართული მუშაობის რეჟიმი გარედან შემოტანილი ჰაერის ცირკულაციითა და გარეთ გატანით.
- ხელოვნური ვენტილაციის სისტემის არსებობის შემთხვევაში, გადართეთ ვენტილაცია ნომინალურ სიჩქარეზე სამუშაო პროცესის დაწყებამდე 2 საათით ადრე და სიჩქარე შეამცირეთ მინიმალურამდე ღონისძიების დამთავრებიდან 2 საათის შემდეგ;
- არ გამორთოთ ვენტილაცია, არასამუშაო საათებში ამუშავეთ ყველაზე მინიმალური სიჩქარით;
- სავენტილაციო სისტემების გამართულ ფუნქციონირებაზე დააწესეთ საინჟინრო კონტროლი, ასევე, ვენტილაციის ფილტრების ყოველთვიური მონიტორინგი და დაბინძურების შესაბამისად (მაგრამ არანაკლებ 4 (ოთხ) თვეში ერთხელ) მათი რეცხვა/გასუფთავება/გამოცვლა (საჭიროების მიხედვით).

დალაგება კინოგადაღების/კინოჩვენების დახურულ სივრცეებში:

- მოახდინეთ დახურული სივრცის დალაგება ყოველი კინოგადაღების/კინოჩვენების დაწყებისა და დამთავრების შემდეგ;
- მაქსიმალურად მოახდინეთ დახურული სივრცეების განიავება გამჭოლი ნიავის პირობებში;
- კინოგადაღების/კინოჩვენების წინ დაასუფთავეთ და დეზინფექცია ჩაატარეთ სველი წესით (მაგ. 0,5 %-იანი ქლორის შემცველი სადეზინფექციო ხსნარით);
- დასუფთავება მოახდინეთ შედარებით სუფთა სივრცეებიდან (მაგ. კინოდარბაზი) უფრო დაბინძურებული სივრცეების (სანიტარიული კვანძი) მიმართულებით;

- იმ ზედაპირებისთვის, რომლებიც შეიძლება დაზიანდეს ქლორშემცველი ხსნარების ზემოქმედების შედეგად, შესაძლებელია არანაკლებ 70%-ანი ალკოჰოლის შემცველი ან სხვა შესაბამისი დანიშნულების პრეპარატის გამოყენება;
- საყოფაცხოვრებო ქიმიის, ასევე სადეზინფექციო საშუალებების ნებისმიერი პროდუქტის გამოყენებისას, დაცული უნდა იყოს მწარმოებლის ინსტრუქცია და უსაფრთხოების რეკომენდაციები;
- დასუფთავება-დალაგების პროცედურები განახორციელეთ „ახალი კორონავირუსით (SARS-cov-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციისა და მართვის უზრუნველყოფის მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 25 მარტის №01-123/ო ბრძანების N6 დანართით.

აკრძალულია: დასუფთავების მშრალი მეთოდების (მშრალი ცოცხითა და ჩვრებით) გამოყენება, რადგან ასეთ დროს შესაძლებელია მტერისა და პათოგენური ბიოლოგიური აგენტების მოხვედრა ჰაერსა და სამუშაო გარემოს ზედაპირებზე.

სანიტარიული კვანძის/საპირფარეშოების დალაგება/დეზინფექცია:

- სანიტარიული კვანძების დალაგება, ინფექციის გადაცემის რისკების შემცირების მიზნით, უნდა განხორციელდეს დაბინძურებისთანავე, მაგრამ აუცილებელი წესით ყოველი გადაღების წინ და დასრულების შემდეგ;
- საპირფარეშოს დალაგება ხორციელდება სველი წესით და სარეცხი საშუალებებით, წმენდის შემდგომი დეზინფექციით, სათანადო წესით;
- დამლაგებლის ეკიპირებისთვის აუცილებელია:
 - ნიღაბი;
 - ერთჯერადი ხალათი;
 - სპეციალური/სქელი ხელთათმანები (მრავალჯერადი);
 - თვალის დამცავი (სათვალე ან სახის ფარი).

მოთხოვნები ღია სივრცეებში კინოგადაღების/კინოჩვენების დროს:

- კინოგადაღების/კინოჩვენების დროს, შესაძლებლობის შემთხვევაში, მონიშნეთ უსაფრთხო მანძილები, დისტანციის დაცვის მიზნით;
- უზრუნველყავით კინოგადაღებისთვის განკუთვნილი აპარატურის, რეკვიზიტების და სხვა საშუალებების წინასწარ და შემდგომ დამუშავება სადეზინფექციო ხსნარებით.

დამატებითი სერვისები კინოგადაღების დროს:

თუ კინოგადაღების პროცესი ითვალისწინებს მონაწილე პირთათვის კვებით/სასმელ კომპონენტს, მკაცრად უნდა იქნეს დაცული შემდეგი პირობები:

- ჯგუფის წევრების კვების დროს გამოყავით ჯგუფის წევრების კვებისათვის სათანადო ადგილი;
- გამასპინძლებისთვის გამოიყენეთ ერთჯერადი კონტეინერებში (დადგენილი ნორმების დაცვით) მოთავსებული საკვები. შვედური მაგიდის გამოყენების შემთხვევაში, პერსონალის მომხმარებლებთან კონტაქტის შემცირების მიზნით, უზრუნველყავით დამცავი გამჭვირვალე ბარიერის მონტაჟი შვედურ მაგიდასთან. ბარიერთან უზრუნველყავით უსაფრთხო დისტანციის დაცვა შესაბამისი მანიშნებლებით;
- საკვებთან ერთად ბარიერს მიღმა განათავსეთ გამოსაყენებელი ერთჯერადი ჭურჭელი;
- გამოიყენეთ მაგიდის ერთჯერადი გადასაფარებლები, ან მაქსიმალურად შეზღუდეთ მათი გამოყენება, რადგან სასადილო მაგიდების წმენდა და დეზინფექცია ყოველი მოხმარების შემდგომ უფრო მოსახერხებელი და ჰიგიენურად კეთილსაიმედოა;
- უზრუნველყავით დასაქმებულთა და სტუმართა ხელის ჰიგიენა სათანადო წესით;
- გამოიყენებული ერთჯერადი ჭურჭლისთვის უზრუნველყავით დახურული ყუთის/კონტეინერის გამოყენების შესაძლებლობა;

- პერსონალი, რომელიც ემსახურება კვებით უზრუნველყოფას, აღჭურვით ინდივიდუალური დაცვის საშუალებებით: ნიღაბი, სახის დამცავი ფარი, ხელთათმანები;
- კვების პროცესში უმჯობესია უპირატესობა მიანიჭოთ პორტატულ სკამებს და ნაკლებად გამოიყენოთ გრძელი სკამები.

კინოგადაღებაში/კინოჩვენებაში მონაწილე პირთა ვალდებულებები:

- ⇒ გახსოვდეთ, ხელის ჰიგიენის რეგულარულად და საფუძვლიანად შესრულება წარმოადგენს უმეტესი ვირუსისგან თავის დაცვის საუკეთესო საშუალებას შესაბამისად, აუცილებელია კინოგადაღების/კინოჩვენების დროს განახორციელოთ შემდეგი ღონისძიებები:
- ⇒ მისაღმებისას არ ჩამოართვათ ხელი ერთმანეთს და მოერიდეთ სხვებთან კონტაქტს (შეხებას და სხვა);
- ⇒ მოერიდეთ თავშეყრას. რეკომენდებულია მუშაობა უსაფრთხო დისტანციის დაცვით (არანაკლებ 2 მ);
- ⇒ სამუშაოების შესრულებისას გამოიყენეთ სრულად ის ინდივიდუალური დაცვის საშუალებები, რომელიც მოგეწოდათ კინოგადაღების/კინოჩვენების პროცესში გამოყენების მიზნით;
- ⇒ კინოგადაღების დაწყებისა და დამთავრებისას სადეზინფექციო საშუალებებით დაასუფთავეთ სამუშაო ადგილები და ის ხელსაწყოები, რომელსაც იყენებთ სამუშაო პროცესის მიმდინარეობისას;
- ⇒ საფუძვლიანად დაიბანეთ ხელები წყლითა და თხევადი საპნით. დაბანის შემდგომ ხელები კარგად გაიმშრალეთ ერთჯერადი საშუალებებით;
- ⇒ გამოიყენეთ არანაკლებ 70% სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებები იმ შემთხვევაში, თუ ვერ ახერხებთ ხელების დაბანას და გაშრობას;
- ⇒ დახველების და დაცემინების დროს მიიფარეთ სუფთა ხელსახოცი ან მოხრილი იდაყვი. გამოყენებული ერთჯერადი ხელსახოცი კი გადააგდეთ ურნაში;
- ⇒ მოერიდეთ ხელებით თვალებზე, ცხვირზე და პირზე შეხებას. მუშაობის პერიოდში მჭიდროდ დაიმაგრეთ თმა, რათა მაქსიმალურად შეიზღუდოს თმისა და სახის შეხება;
- ⇒ თუ საქმიანობა ითვალისწინებს ფულის ნიშნებთან და პროდუქციასთან ურთიერთობას, აუცილებლად გამოიყენებთ ხელთათმანი და გახდის დროს დაიმუშავეთ ხელები არანაკლებ 70% სპირტის შემცველი ხელის საწმენდი საშუალებებით.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:  15 05  116 001